

გალაკტიონის ერთი ლექსის გამო¹
(მთარგმნელის დღიურიდან)

მეცნიერებაში ტექსტის ინტერპრეტაციის მკვეთრად აღბეჭდილ ფაქტად თარგმანი გვეგულება. ამიგომაც თარგმანს სულხან-საბა განმარტავს, როგორც „იგავიანი სიგყვის გაცხადებას“.

წინამდებარე წერილი გალაკტიონის ერთი ლექსის, საკუთრივ, „საღამოს“ განმარტებას ეძღვნება. ამ ლექსის ჩემეული ინგლისური თარგმანი შესულია გალაკტიონის იმ ორენოვან კრებულში, რომელიც გასულ წელს ბრიტანეთში გამოიცა (Galaktion Tabidze, Poems, translated by Innes Merabishvili, Critical, Cultural and Communications Press, Nottingham, 2011). ლექსის თარგმნას წინ უძღოდა ხანგრძლივი ფიქრი და ძიება, რასაც მრავალ სიგყვათა თუ სტრიქონთა ინტერპრეტაცია მოითხოვდა. ანალიზისათვის გაკეთებული ჩანაწერები ჩემს დღიურს შემორჩა და ახლა ამ ყოველივეს საგამებთო წერილის სახით ვთავაზობთ.

წარმოგიდგინთ ლექსს – „საღამო“, რომელიც პოემა 1915 წელს შექმნა:

მთის გაგიჟებულ რუებს,
ღვით, ძენძით და ქვიშით,
გრიგალი დააყრუებს
მაცხოვრისადმი შიშით.

და დედოფალი ალვა,
ელვამ დაღუნა ცივმა;
ასე გავიდა გვალვა,
ასე მოვიდა წვიმა...

ჯვარი, ლომი და კურო
ფარშავანგების არის.
თვალთა ანგელოსთ შურო,
შენ, ღვთისმშობელო კარის!

ზარით აგეხილ გრიგალს
ღავით ნარინის ჯვარი,
მარმარილოთა ფიქალს
გადააფარებს მძლავრი.

ან გაოცებას, რასაც
მარად ანათებს ძელი,
ისევ დაადებს რაზას
შემოღამების ცელი.

¹ „საქართველოს რესპუბლიკა“, №52, 17 მარტი, 2012.

ან, როგორც ასომთავრულს,
მულამ შევამჩნევ ცაზე,
სხვისთვის უხილაფ-ფარულს
მე რად გელოდი ასე...

ჯვარზე გაკრული ელვა –
ეს ჩემი დაა ლურჯი,
ლურჯ ყვავილების თელვა –
ახალგაზრდობა ურჩი.

ჯვართან მისული სურო –
მარგობააა ქნარის...
თვალთა ანგელოსთ შურო,
შენ, ღვთისმშობელო კარის!

ლექსი ბგერათა მუსიკის გვერდით აზრის დიდ მუსიკას შეიცავს და მისი მოსმენა ლექსის შინაარსობრივი ანალიზის გზითაა ხელმისაწვდომი.

ამ ლექსით გალაკტიონი ათონის მთის ივერიის მონასტრის კარიბჭის ღვთისმშობლის ხაგს მიმართავს. ისტორიული წყაროების თანახმად, ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს (829-842) მმართველობის დროს დაიწყო ე. წ. ხაგმებრძოლეობა. ხაგმებრძოლები ერთ ნიკეელ ქვრივთანაც მივიდნენ სახლში და, როდესაც ღვთისმშობლის ხაგი იხილეს, მისი შემუსვრა მოინდომეს. ქვრივმა სთხოვა მათ, რომ სიწმინდე დილამდე მასთან დაეგოვებინათ. მგრები განშორდნენ, მაგრამ ერთმა მათგანმა მახვილი სცა ხაგს და იმ წამს ღვთისმშობლის სახიდან, როგორც ცოცხალიდან, სისხლი გარდამოვიდა. ქალმა გადაწყვიტა, რომ კალნიერთა შეურაცხყოფისაგან დასაცავად წმინდა ხაგი ზღვისთვის მიეზარებინა. როდესაც მან ხაგი ზღვაში შეაყურა, ის გალღებზე ვერტიკალურად აღიმართა და დასავლეთისაკენ გაცურა.

არავინ იცის, სად და რამდენ ხანს იყო დაფარული წმინდა ხაგი. 999 წელს ათონის მთის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. აღდგომის მარხვის დროს ივერთა მონასტრის ბერებმა იხილეს ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი, რომელიც არ ქრებოდა და ნათელი ზღვის გალღებზე მდგომი ღმრთისმშობლის ხაგიდან მოდიოდა. ბერები შეეცადნენ ნავით მიახლოებოდნენ ხაგს, მაგრამ ხაგი მათ განეშორა. ივერთა მონასტერში ბერებმა დაიწყეს გამუდმებული ლოცვები. რამდენიმე კვირის შემდეგ ხაგი ნაპირზე გამოაბრძანა ქართველმა გაბრიელ ბერმა, რომელმაც, სასწაულებრივად ზღვაზე ფეხით გაიარა. ეს ამბავი მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. სამი დღის შემდეგ ხაგი გადაიტანეს მონასტრის მთავარ ტაძარში, კათოლიკონში, და დააბრძანეს საკურთხეველში.

მეორე დღეს, ცისკრის ლოცვის წინ ეკლესიაში შესულ ბერს ხაგი ადგილზე აღარ დახვდა. ძიების შემდეგ ბერებმა იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს და კვლავ უწინდელ ადგილას დააბრუნეს. სასწაული რამდენჯერმე განმეორდა. ბოლოს ღმრთისმშობელი ძილში გამოეცხადა გაბრიელ ბერს და აუწყა: „გამოუცხადა ძმებს, რომ მეგად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიც და მცველიც, არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც“. მას შემდეგ ხაგი ღმრთისმშობლის მიერ გამორჩეულ ადგილზე ბრძანდება, რის გამოც იწოდება „პორგაიგისად“ ანუ „კარიბჭის მცველად“. ხაგზე ღვთისმშობლის სახეს ნაიარევი ამჩნევია.

დავიწყოთ იმით, რომ ამ ენიგმურ ლექსში სიმბოლოთა მწყობრი და ნაგიფი ურთიერთკავშირი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხაგის განდიდებასა და მის თაყვანისცემას ემსახურება, მაგრამ, ამავე დროს, ღვთისმშობლის ხაგის ახალ პოეტურ ხედვას ისახავს მიზნად. სასწაულის ძალა და ღვთისმოშიშობის თემა აქ წინა პლანზეა წამოწეული, რაც პირველივე სტროფში ცხადდება.

მეორე სტროფში ალვა, როგორც ქალწულის სევდის სიმბოლო, მარიამ ღვთისმშობლის თემისათვის ამზადებს მკითხველს: აქ პოეტს აგრეთვე შემოაქვს ელვა, როგორც ქრისტე ღმერთის გამოცხადება, როგორც სიგყვა ღვთისა და სიმბოლო განათებისა და განათლებისა, ანუ ისე, როგორც ეს სიმბოლიკასთან დაკავშირებულ ლიტერატურაშია მიღებული. ლექსში ხდება ღვთისმშობლისა და ქრისტე ღმერთის ერთ მეტაფორაში გაერთიანება. მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ალვა დედოფალადაა წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ როდესაც გალაკტიონი ქმნიდა ლექსს – „სილაკვარდე ანუ ვარდი სილაში“, მის ერთ-ერთ ვარიანტში მარიამ ღვთისმშობელს მოიხსენიებს, როგორც „დედაო ღვთისავ, დედოფალო, მგეო მარიამ“.

სტრიქონები „ასე გავიდა გვალვა, / ასე მოვიდა წვიმა...“ უპირველესად მიგვანიშნებენ იმ სულიერ გვალვაზე, რომელშიაც იმყოფებოდა კაცობრიობა ქრისტიანობამდე, ხოლო წვიმის მოსვლა იმ წყალობაზე გვესაუბრება, რომელიც ქრისტიანობამ მოუტანა კაცობრიობას.

მესამე სტროფში ჯვარი – რწმენასა და ქრისტიანულ სარწმუნოებას განასახიერებს, ლომი – ძალაუფლებასა და ძლიერებას, კურო, როგორც ხარი, მიწის ნაყოფიერებისა და მხურვალე ძალის სიმბოლოა. ეს სამი სიმბოლო აქ ფარშავანგს უკავშირდება, რაც, ბუნებრივია, სამეფო ტახტისა და ღვთაებრიობის ნიშანია. ამ სიმბოლოთა ფონზე ჩნდება სტრიქონები: „თვალთა ანგელოსთ შურო, / შენ ღვთისმშობელო კარის!“

ლეგენდის თანახმად, ღვთისმშობლის ხაგი არ დარჩა გაძრის საკურთხეველში, იგი სასწაულებრივი გზით კარიბჭის კედელზე დაბრძანდა. ხოლო როდესაც გაბრიელ ბერს ღვთისმშობელი ძილში გამოეცხადა, აუწყა, რომ არ ნებავდა მათგან მფარველობა, რადგან თავად სურდა მფარველიცა და მცველიც გამხდარიყო.

აქ, ბუნებრივია, შემოდის ადგილის მფარველ ანგელოზთა თემა. ლეგენდა იძლევა საშუალებას ვიგულისხმოთ, რომ მფარველ ანგელოზთა გუნდს სწორედ ღვთისმშობლის მფარველი ხაგი ჩაანაცვლებს, და თანაც განსაკუთრებული და იშვიათი ძალით, რადგან, როგორც ღვთისმშობელი ეგყვის გამოცხადებისას გაბრიელ ბერს, მან ეს ნიჭი თავად თავისი ძისგან გამოითხოვა.

პოეტური ხედვა ყოველთვის ვერ დაემთხვევა კანონიკურ რელიგიურ ხედვას და ის, ჩვეულებრივ, მრავალასპექტიანი და მრავალმნიშვნელოვანია. თანახმად ლექსის კონტექსტისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ანგელოზები მათთვის ჩვეულ მარადიულ მოძრაობაში ეშურებიან ღვთისმშობელთან მიახლოებას, რაც აფართოებს სიგყვის მოცულობით შინაარსს, ანალოგიით სიგყვათა ჩვეული ხმარებისა: „ეშურება დროს, ახალგამრდობას, მდგომარეობას“ და სხვა, რაც მუდმივ ჭიდილსა და მოძრაობაზე მიგვანიშნებს. ლექსის მიხედვით, გაძრის მფარველ ანგელოზებს შურთ ღვთისმშობლის ხაგისა. „თვალთა ანგელოსთ შურო“ არ ნიშნავს მხოლოდ ანგელოზთა შურს, არამედ ნიშნავს ანგელოზთა თვალთა შურს, რომ ეს შური ანგელოზთა თვალთაგან მოედინება, თუნდაც, ანალოგიით ქართულ მეტყველებაში არსებული გამოთქმისა – „შურის თვალთ უყურებს“, რაც კიდევ უფრო მიწიერს ხდის ამ სურათს. ისიც გვმართებს ვთქვათ, რომ შური, როგორც ცოდვა, თავდაპირველად ადამიანის თვალს ეკვრის, შემდეგ გადადის გულში, ხოლო უარეს შემთხვევაში, შეაღწევს ადამიანის სულში. გალაკტიონის ამ ლექსში

ანგელოზები თვალთა შურით, თუნდაც თეთრი შურით, შეჰყურებენ მარიამ ღვთისმშობლის ხაგს და მასთან სიახლოვესაც ეშურებიან. ასეთი მეგაფორით გალაკტიონი თავად უახლოვდება ანგელოზთა გუნდს და მათ მზერას თვალს უსწორებს.

მეოთხე სტროფში ათონის მთიდან ღვთისმშობლის პიროვნებაზე გადმოვინაცვლებთ. მოგეხსენებათ, ღვთისმშობლის იმ მორწმუნე მეფეთა რიცხვშია, ვინც მრავალი ქარგებილის შემდეგ ბერად აღიკვეცა. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ღვთისმშობლის VI ნარინმა სათავე დაუდო ბაგრატიონთა დინასტიის იმერეთის შტოს და იმერეთში სამი ათეული წელი იმეფა.

ლექსის მიხედვით, ღვთისმშობლის მძლავრი ჯვარი მარმარილოთა ფიქალს გადაეფარება. ბუნებრივია, ჩნდება ტაძრის, საკუთრივ გელათის მონასტრის ასოციაცია, სადაც ღვთისმშობლის ორი მნიშვნელოვანი ფრესკაა განთავსებული – ერთი, როგორც საერო პირისა, ხოლო მეორე – ბერისა. ამასთანავე, მარმარილოთა ფიქალი ხომ საფლავის ქვაზეც მიგვანიშნებს, და საკუთრივ საფლავზე ღვთისმშობლისა გელათის მონასტერში. საფლავთა კურთხევაც და სიკვდილზე გამარჯვებაც ღვთისმშობლის ჯვრის ძალით ხორციელდება.

მეოთხე სტროფის დაკავშირება მეხუთესთან, ხოლო შემდეგ მეხუთესი – მეექვსესთან, ხორციელდება კავშირით „ან“, რაც ნიშნავს იმას, რომ ღვთისმშობლის თემა ვრძელდება.

მეხუთე სტროფში პოეტი ისევ სასწაულის ძალას მოუხმობს, როდესაც გაოცებასა და ძეღვემე გვესაუბრება. გაოცებაში, პირველ ყოვლისა, პლაგონისეული გაკვირვება, იგივე „თავმაზია“ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომელიც საწყისია სიბრძნისა. მაგრამ გაოცება ხომ თავად არის ქრისტიანული სასწაულის თანმდევი, თუმცა, არაწამყვანი, რადგან ქრისტიანობისთვის უპირველესი თემა ღვთისმშობლობაა. ამიტომაც ძეღვემე სვეტი ცხოველი და სვეტი ნათელი იგულისხმება და ის მარად ანათებს გაოცებას.

მოგეხსენებათ, შოთა რუსთაველის „შიში შეიქმს სიყვარულსა“, როგორც შიში ღვთისა, მისი უკვდავი პოემის ერთ-ერთ წამყვან ფილოსოფიურ მრწამსს წარმოადგენს. გალაკტიონის თანამედროვე დიდმა ქართველმა ფილოსოფოსმა, შალვა ნუცუბიძემ პლაგონისეულ „თავმაზიას“ სწორედ რუსთაველის „შიში შეიქმს სიყვარულსა“ დაუპირისპირა, თუმცა, ისიც საგულისხმოა, რომ ლექსის შექმნის თარიღი წინ უსწრებს შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიურ მოღვაწეობას.

გაოცებას, როგორც სასწაულის ხილვის შედეგად მიღებულ განცდასა და შთაბეჭდილებას, პოეტი მარად ძეღვემე, ანუ სვეტი ცხოველთან აკავშირებს, რადგან სასწაულის აღქმა ქრისტიანობისთვის რწმენასთან და ღვთისმშობლობასთან არის დაკავშირებული. როდესაც გენა სასწაულს გვიგზავნის, ამით კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ღვთისმშობლის ყოვლისმომცველ ძალაზე. მორწმუნე ადამიანი განიცდის სასწაულს, მაგრამ სასწაული სიმბარივით ქრება მისი თვალთახედვიდან. ამიტომაც იგყვის გალაკტიონი – „ისევ დაადებს რაზას შემოღამების ცელი“, რაც, ფართო გაგებით, სინათლისა და სიბნელის მარადიული მონაცვლეობით არის განპირობებული.

მეექვსე სტროფში საუბარია იმ ილუმინაციულ გაოცებასა და აღგაცებაზე, რომელიც გალაკტიონმა თავად განიცადა, და იმ უხილავ სამყაროსა და ხედვაზე, რომელიც მან განჭვრიტა და აღმოაჩინა.

მომდევნო, მეშვიდე სტროფში ისევ შემოდის ელვა, რომელიც აქ უკვე ლურჯი დის სახითაა წარმოჩენილი: ქრისტეს ჯვარცმა პოეტისათვის იმავდროულად მარიამ ღვთისმშობლის სულიერ ჯვარცმას ნიშნავს, მით უმეტეს, რომ ის აქ ლურჯ ფერს, ცის ფერს მოუხმობს. ეს სტროფი ამ თემით მეორე სტროფს უკავშირდება. აქ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სტროფის პირველი ნაწილის დაკავშირებას მეორესთან, როდესაც

პოეტი ახალგაზრდობისდროინდელი ლურჯი ყვავილების თელვაზე გვესაუბრება, რაც ღვთით მომადლებული შემოქმედებითი ნიჭიერებისადმი უდიერ დამოკიდებულებას გულისხმობს.

ლექსის დასკვნითი სგროფი ისევ ჯვართანაა დაკავშირებული. წინა სგროფში წარმოდგენილ ჯვარცმას ენაცვლება „ჯვართან მისული სურო“, როგორც სიცოცხლის მარადმწვანე სიმბოლო, როგორც სიკვდილზე ლექსით გამარჯვება, თუმც, ეს სურო, როგორც ქნარის მარგობა – სიმბოლოა პოეტის მარგობისა. ამ ორი პწკარის შემდეგ ლექსს ისევ ღვთისმშობლის სადიდებლად ნათქვამი დაასრულებს: „თვალთა ანგელოსთ შურო, / შენ ღვთისმშობელო კარის“. ამიგომაცაა, ალბათ, გალაკციონის ღვთისმშობელი აქაც და მის სხვა ლექსშიც, ცისიერიც და მიწიერიც, მაგრამ ასე ახლობელი.

აი, ასეთია ახალგაზრდა გალაკციონის რელიგიურ-ფილოსოფიური კრედო, ასეთია ამ ჭემმარიგად მორწმუნე ქრისტიანის ურთიერთობა იმ პოეტურ სამყაროსთან, რომელიც მან დიდი სულიერი და ინტელექტუალური ძალების გაერთიანებით განჭვრიტა და აღმოაჩინა, აღმოაჩინა საქართველოსთვის და აღმოაჩინა მთელი ქვეყნიერებისთვის: „აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი“.

ჭემმარიგად საჩინო და ღირებულია ის, რომ ეს ვეება სამყარო ისეთ ვირტუომულ სიგყვიერ საგანძურში განსხეულდა, რომელსაც სახელად გალაკციონის პოეზია ჰქვია.